სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/78

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2023

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ტუტორინგის და მენტორინგის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის №01-05-04/213 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ტუტორინგის და მენტორინგის ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**